ფიზიკური კულტურა და სპორტი-ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

თბილისის 36-ე საბავშვო ბაღის გამოცდილებაზე
გესაუბრებით გაზეთის მეორე გვერდზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 33
(7094)

17 თებერვალი, ოთხშაბათი.
1982 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

ჩვენი გაზეთის 31 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!“ მას შემდეგ რედაქციამ მკითხველთა მრავალი ბარათი მიიღო. ისინი გვთხოვენ განვუმარტოთ კროს „ჯანმრთელობასთან“ დაკავშირებული მათთვის საინტერესო საკითხები.

გარდაბნის რაიონის თელეთის საშუალო სკოლის მოსწავლეს, 15 წლის **ლია ჩაჩანიძეს** აინტერესებს, შეუძლია თუ არა მონაწილეობა მიიღოს კროსში, რადგან დებულების თანახმად შეჯიბრებაში გამოსვლა შეუძლია საშუალო და უფროსი ასაკის ქალებსა და მამაკაცებს 20 წლისა და ზევით. 60 წლის **გიორგი ირემაშვილი** გვწერს, რომ მისი აზრით, საჭიროა შეიქმნას მეოთხე ასაკობრივი ჯგუფი (55 წლის ზემოთ). სხვაგვარად III ჯგუფში არათანაბარი ძალის მორბენლები მოიყრიან თავს.

ორივე ჩვენს მკითხველს ვუპასუხებთ, რომ **მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ჩვენს მიერ გამოცხადებულ კროსში და თუ სანუკვარ თბილისის „დინამოს“ სტადიონის მუდმივ საშვს ვერ დაეუფლებიან, რედაქცია მათ სპეციალური პრიზით დააჯილდოებს.**

თბილისელი **ვ. უნგიაძე** კი გვწერს, რომ „ლელოში“ წაუკითხავს წერილი „დინამოს“ ჯანმრთელობის ჯგუფის შესახებ, რომელიც დილის 8-დან 9 საათამდე ვარჯიშობს. მას კი სამსახური 9 საათზე ეწყება და აინტერესებს, არსებობს თუ არა სხვა რომელიმე კლუბი, სადაც ის ხელსაყრელ დროს შეძლებს ვარჯიშს.

პატივცემულ ვ. უნგიაძეს ვაცნობებთ, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონზე შექმნილია ჯანმრთელობის ჯგუფი „ხალისი“, რომელიც დილის 6 საათზე იწყებს ვარჯიშს.

თბილისელ **იამზე სამხიანსაც** სურს ჩაებას ჩვენს მიერ დაწესებული პრიზისთვის ბრძოლაში და გვთხოვს ზოგიერთ განმარტებას. ამასთან დაკავშირებით, შეგახსენებთ, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვისაც გავლილი აქვს სათანადო მომზადება და სპეციალური საექიმო შემოწმება. ასპარეზობაში მონაწილეობის მსურველნი საორგანიზაციო კომიტეტს („ლელოს“ რედაქციაში) განცხადებასთან ერთად წარუდგენენ ექიმის ცნობას, რომ უფლება აქვთ იასპარეზონ მათი ასაკისთვის შესაფერის მანძილზე, აგრეთვე პასპორტს. განცხადების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 20 მარტი (რედაქციაში), გამონაკლისის სახით — სტარტამდე 1 საათით ადრე „ლოკომოტივის“ სტადიონზე, სადაც განაცხადი ჩაბარდება მხოლოდ მთავარ მსაჯს ან მთავარ მდივანს.

ერთი აუცილებელი პირობაც: ასპარეზობაში მონაწილეობის მსურველები სტარტზე ცხადდებიან სპორტული ტანსაცმლით და ფეხსაცმლით.

ძვირფასო მეგობრებო! კროსში გამარჯვებულთათვის თბილისის „დინამოს“ სტადიონის 1982 წლის სეზონის მუდმივი საშვი მხოლოდ სამია და, ბუნებრივია, იგი ყველას ვერ შეხვდება, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ყველაზე დიდი პრიზი თქვენივე ჯანმრთელობაა, რომლის შენარჩუნებას ყველა უნდა ცდილობდეს.

თოვლიან დილას თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ს. ვართანესოვის ფოტოები.

გვეკითხებიან — ვპასუხობთ

● გესაუბრებით რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებზე ● სათხილამურო სპორტი

დიდი სტარტების წინ...

დაახლოებით ორი კვირა დარჩა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის V სპარტაკიადის ფინალის საზეიმო გახსნამდე. ამ სტარტისთვის გულმოდგინედ ემზადებიან ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. დღეს „ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ მორიგ წერილს, ამჯერად სათხილამურო სპორტში რესპუბლიკის ნაკრების შესახებ.

გუნდის უფროსი — **უ. გავა.**

უფროსი მწვრთნელი — **ა. ქუმარიტაშვილი.**

მწვრთნელი — **ვ. მიქაბერიძე.**

V სპარტაკიადის ფინალისთვის მზადება რესპუბლიკის ნაკრებმა სათხილამურო სპორტში... ზღვაზე დაიწყო: ლესელიძის პანსიონატ „სპორტში“ 15-დღიანი შეკრება გაიარა საერთო ფიზიკურ მომზადებაში რესპუბლიკის 15 საუკეთესო მოციგავემ. მზადების ამ პერიოდის შესახებ „ლელო“ უკვე იტყობინებოდა სექტემბერში. მომდევნო თვეს (5-21 ოქტომბერს) ნაკრები რიგას გაემგზავრა, სადაც ხელოვნურ ტრასაზე ძირითადად სტარტის დამუშავებაზე ვარჯიშობდა. ნაყოფიერი იყო გუნდის შეკრება ბრატსკში (15 ნოემბერი—5 დეკემბერი), სადაც სპორტსმენები ხვეწდნენ სრიალის ტექნიკას, მუშაობდნენ სისწრაფეზე. დეკემბერი გუნდმა ქალაქ ჩუსოვოიში (პერმის ოლქი) გაატარა, სადაც იასპარეზა ქალაქის ტრადიციულ ღია პირველობაზე მასპინძლებისა და ბელორუსიის ნაკრებთან ერთად. პირველი სტარტი იმედის მომცემი გახლდათ. ჩვენმა სპორტსმენებმა ერთეულებში გოგონათა შორის პირველი სამი ადგილი დაიკავეს: გაიმარჯვა ბაკურიანის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა ცირა ფილიევამ. II იყო პირველთანრიგოსანი მარიკა ვახტანგიშვილი, III— პირველთანრიგოსანი ასმათ ყოროშვილი. სამივე სპორტსმენი (ისინი 16-16 წლისანი არიან) სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ წევრია.

წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ვაჟებიც: პირველი იყო გიორგი ხიზაძე, მესამე — ჯონდო ხუთაგური. ორივე სპორტსმენი 20-20 წლისაა, ასკ-ს წევრი, ოსტატობის კანდიდატი.

იანვრის პირველ ნახევარში ნაკრები ისვენებდა, ხოლო 15-დან სვერდლოვსკში იმყოფებოდა შეკრებაზე. ამ დღეებში კი გუნდი გაემგზავრა დაბა პარამონოვოში (მოსკოვის ოლქი), სადაც თამაშდება სსრ კავშირის თასი.

23 თებერვალს ნაკრები გაემგზავრება კრასნოიარსკში და 4 მარტს აიღებს სასპარტაკიადო სტარტს. ქალები და გოგონები (ერთადგილიანი ციგები) იასპარეზებენ 4-9 მარტს, ხოლო ვაჟები და ჭაბუკები (ერთ და ორადგილიანები) — 10-16 მარტს.

ვინ აცხადებს პრეტენზიას ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვისათვის ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში? ესაა პირველ რიგში სსრ კავშირის ორგზის (1979 და 1980 წ. წ.) მეორე პრიზიორი ერთეულებში, 26 წლის სპორტის ოსტატი თამაზ ქუმარიტაშვილი („შრომითი რეზერვები“, ბაკურიანი), მისი თანატოლი და თანაგუნდელი, სსრ კავშირის 1975 წლის ჩემპიონი იუნიორებში ერთადგილიან ციგებზე, სპორტის ოსტატი ფელიქს ქუმარიტაშვილი, 18 წლის სპორტის ოსტატები — დავით ქუმარიტაშვილი, სსრ კავშირის სამგზის (1979-81 წ. წ.) ჩემპიონი იუნიორებში ერთ და ორადგილიანი ციგებით და თემურ გაგლოევი (ორივე — „შრომითი რეზერვები“). აღსანიშნავია, რომ ისინი 1980 წელს ევროპის ჩემპიონატზე რუმინეთში VI ადგილზე გავიდნენ ორადგილიანი ციგებით და ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში არიან შეყვანილი.

ქალთა შორის რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში ჩარიცხეს სსრ კავშირის ჩემპიონატის III პრიზიორი ერთადგილიანებში, 23 წლის სპორტის ოსტატი ქეთინო ჯეირანაშვილი, მისი თანატოლი, ოსტატობის კანდიდატები თამარ თიბილოვა (ასკ) და ცირა ფილიევა.

გუნდის საბოლოო შემადგენლობა ამ დღეებში გაირკვევა. იმედია, რომ ჩვენი მოციგავეები სასპარტაკიადო კრასნოიარსკშიც წარმატებით იასპარეზებენ და მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ჩვენს ჯგუფში მოასპარეზე ლატვიის გუნდს, რომელსაც, როგორც ცნობილია, მეთაურობს ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ვერა ზოზულია.

ო. ნოზაძე.

ა. ზურაბაშვილი:

„დაუმეგობრდით ფიზკულტურას!“

ქართველი მეცნიერები, მთელი საზოგადოებრიობა დიდი სიყვარულით აღნიშნავს ქართული მეცნიერების პატრიარქის, ღვაწლმოსილი და მსოფლიო მნიშვნელობის ფსიქიატრის, აკადემიკოს ავლიპი ზურაბაშვილის დაბადებიდან 80 წლის იუბილეს.

ამ დღეებში ჩვენ შევხვდით მხცოვან მეცნიერს და ვესაუბრეთ მას.

● **პატივცემულო ავლიპი, „ლელოს“ რედაქციის და ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით მხურვალედ გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და დიდ შემოქმედებით წარმატებებს ქართული მეცნიერების, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.**

— დიდი მადლობა.

● **თქვენ ცხოვრების გრძელი და საინტერესო გზა განვლეთ, დიდი მეცნიერი ბრძანდებით, მჭიდრო კონტაქტები გაქვთ ახალგაზრდობასთან. ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესო იქნება თქვენი შეხედულება დღევანდელ ახალგაზრდებზე.**

— ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს —ჩვენ დიდად ნიჭიერი, გონიერი, ძლიერი და ყოველმხრივ განვითარებული ახალგაზრდობა გვყავს. ზოგჯერ გვესმის ხოლმე სევდით თუ სინანულით ნათქვამი სიტყვები: „ეს რა ახალგაზრდობა მოდის, ჩვენი დრო სულ სხვაგვარი იყოო“. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები არაფრით ჩამოუვარდებიან არც ერთ წინა თაობას, პირიქით, ინტელექტით, მომზადების დონით აღემატებიან კიდეც მათ. დიდ წარმატებებს აღწევენ ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები, მხატვრები, მუსიკოსები, თეატრისა და კინოს მოღვაწენი, ახლა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების მიღწევები?...

● **რაკი სიტყვამ მოიტანა, იქნებ გვითხრათ, მისდევდით თუ არა ოდესმე სპორტს?**

— პირველდაწყებითი განათლების მიღება მომიწია ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში, როცა ფიზკულტურას არ ჰქონდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და არც არავითარი ყურადღება ექცეოდა. ვსწავლობდი ეგრეთწოდებულ „გიმნასტიკის“ სკოლაში, სადაც მეცადინეობა ძალზე პრიმიტიული იყო, ამიტომ შეიძლება ითქვას, არავითარი ფიზიკური წრთობა არ მიმიღია, ჩემთვის ფიზკულტურა იყო ვენახში მუშაობა, ყანის მკა, თიბვა... ფიზიკურმა შრომამ გააკაჟა ჩემი ორგანიზმი და ახლაც, უკვე ღრმად მოხუცებული, როცა დღეში 14 საათს ვმუშაობ, თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

● **რა როლი ეკისრება ფიზკულტურას ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების საქმეში?**

— მოგეხსენებათ, არსებობს სამკურნალო ფიზკულტურა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს სფეროში — ფსიქიატრიაში. საერთოდ ფიზკულტურა უდიდეს ყურადღებას მოითხოვს თითოეული ჩვენგანისაგან, რამე თუ ის არის მტკიცე საწინდარი ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და სულიერი სრულყოფილებისა. ნამდვილი ფიზკულტურელი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ნერვული, ადვილად აღმგზნები, ლოთი თუ ნარკომანი. ფიზიკური წრთობა ახალისებს, აახალგაზრდავებს, ენერგიას მატებს ადამიანს. მახსენდება ერთი გავრცელებული ამბავი ჩვენი ლეგენდარული ფალავნის არსენ მეკოკიშვილის შესახებ. თურმე ერთხელ მეკოკიშვილს ტრამვაიში ლოთი გადაჰკიდებია, ლანძღვა-გინებით აუკლია, ბოლოს კი უთქვამს: „შენგან კატლეტს გავაკეთებო“. ღირსეულ სპორტსმენს გული კი არ მოსვლია, მშვიდად უთქვამს: „რა უნდა ამ კაცს ჩემგანო“. ასე რომ, ძალაში რჩება ძველი ბერძნული გამოთქმა: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“.

● **როგორ ხვდებით ქართველ სპორტსმენთა წარმატებას, რას განიცდით მარცხის დროს?**

— ვერ ვიტყვი, რომ სპორტის ყველა სახეობა ერთნაირად მიტაცებს. გამორჩევით მიყვარს ფეხბურთი. გულახდილად რომ გითხრათ სტადიონზე არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მოუთმენლად ველი ტელერეპორტაჟებს. გულით მიხარია ჩვენი დინამოელების გამარჯვებები, მწყინს, როცა გოლი ვერ გააქვთ. მაგრამ სპორტი, კერძოდ კი ფეხბურთი, მიყვარს არა მხოლოდ როგორც სანახაობა და ჩვენში ყველაზე პოპულარული სახეობა, არამედ იმიტომაც, რომ ადამიანში იგი აღვიძებს და ავითარებს უამრავ კეთილშობილურ გრძნობას თუ თვისებას — პატრიოტიზმს, სიმტკიცეს, ვაჟკაცობას, პირდაპირობას, გამძლეობას, „ჭირთა თმენას“ და არავითარ შემთხვევაში შურსა და კინკლაობას.

● **რას ეტყვით ჩვენი გაზეთის მკითხველებს?**

— „ლელოს“ მკითხველებს, ქართული სპორტის ყველა გულშემატკივარს ვუსურვებ ჯანმრთელობას, მხნეობას, წარმატებებს, ჩვენს სახელოვან სპორტსმენებს — მსოფლიო სახელს და დიდებას. ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას კი ხმამაღლა მოვუწოდებ: „დაუმეგობრდით ფიზკულტურას და სპორტს — ჯანმრთელობის, დღეგრძელობის და ხალისიანი გუნება-განწყობილების უტყუარ საფუძველს!“

საუბარი ჩაიწერა ნ. ჯოხარიძემ.

●

ხ. კილაძის ფოტო.

ფიზიკური კულტურა და სპორტი—ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

მხარი ვუსწოროთ 36-ეს

„ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს“, რამდენჯერ წაგვიკითხავს ამგვარი მოწოდება ჩვენი პრესის ფურცლებზე, გაგვიგონია რადიოთი და ტელევიზიით, მოგვისმენია მაღალი ტრიბუნიდან. დიახ, მთელი ჩვენი ყურადღება, მონდომება, შესაძლებლობანი მიმართულია იქითკენ, რომ მომავალ თაობას შევუქმნათ სწავლის, დასვენების, გართობის, ფიზიკური წრთობის ყველა პირობა, იმაზე კი, თუ როგორ შევძლებთ ყველაფერ ამას, ბევრადაა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი.

ეს კარგად იციან თბილისის 36-ე საბავშვო ბაღის აღმზრდელებმა, რომლებიც მისაბაძი პასუხისმგებლობით ეკიდებიან პატარების აღზრდას.

შუადღისას ვეწვიეთ საბავშვო ბაღს. გზიდან მოშორებით მდგარ მყუდრო შენობაში გემრიელი საჭმელების სუნი ტრიალებს. ნორჩები ახლა სადილობენ, მერე „წყნარი საათი“ აქვთ, შემდეგ კი, სახლში წასვლამდე დარჩენილ რამდენიმე საათს შინაარსიანად გაატარებენ — გაერთობიან ნაირ-ნაირი სათამაშოებით, ისწავლიან ახალ ლექსებს და სიმღერებს, განსაკუთრებული სიხარულით კი მიაშურებენ თავიანთ „ცისფერ დარბაზს“, სადაც მრავალნაირ სპორტულ იარაღზე ვარჯიშობენ აღმზრდელ-მეთოდისტის მეთვალყურეობით.

ვათვალიერებთ ბაღის მოზრდილ, ნასათუთებ ეზოს, რომელსაც აშკარად ატყვია ყოველდღიური მზრუნველობა და ყურადღება. შენობის გარშემო არის „ტრასა“, რომელზეც დგას შუქნიშნები და საგზაო ნიშნები — პატარა „მძღოლები“ ქუჩაში მოძრაობის წესებს სწავლობენ, აქვეა კალათბურთის მოედანი, ცოტა მოშორებით კი — ლამაზად გაფორმებული საჭყუმპალაო, რომელთან ახლოს მშვენიერი „პლაჟი“ მოუწყვიათ — საჭყუმპალაოდან ამოსული პატარები ხის მოზრდილ ყუთებში ჩაყრილ ქვიშაში ნებივრობენ. ზაფხულში, თაკარა მზეში კი გაშლიან მოხერხებულ შეზლონგებს და ფერად-ფერად საჩრდილობელ ქოლგებს...

ეს სანიმუშო ბაღი არსებობის ცამეტ წელიწადს ითვლის. მისი გამგეა ახალგაზრდა პედაგოგი **დალი დარახველიძე**, რომლის საოცარ ენთუზიაზმზე, ბავშვებისადმი ფანატიკურ სიყვარულზე და გამომგონებლობაზე ბევრს ლაპარაკობენ დედაქალაქის **კიროვის რაიონში**.

1978 წელს ჩვენს პრესაში დაიბეჭდა თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის გ. ყირმელაშვილის წერილი „ვინ ჩაუსხამს ბავშვებს წყალს?“, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ქალაქის არც ერთ ბაღს არა აქვს საჭყუმპალაო, რაც ასე აუცილებელია ჩვენი ბავშვების ფიზიკური მომზადებისათვის. აქვე ავტორი სვამდა კითხვას, ვინ იქნება პირველი, ვინ ჩაუსხამსო ბავშვებს წყალს? და მაშინ 36-ე ბაღში, პირველად ჩვენს ქალაქში, აშენდა საჭყუმპალაო და არა მარტო საჭყუმპალაო — დაარსების ათი წლის თავს ბაღი შეხვდა ერთგვარი ნობათით — სპორტული კომპლექსით: ნორჩების განკარგულებაშია საჭყუმპალაო, კალათბურთისა და ტანვარჯიშის მოედნები...



— ორი წლის წინ ჩავატარეთ სპორტული ზეიმი „ჩვენ ოლიმპიელთა ცვლა ვართ“, რომლის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია რესპუბლიკის სკოლამდელო აღზრდის სამმართველოს მეთოდკაბინეტის მეთოდისტმა **ციალა მაჭარაშვილმა**. — გვეუბნება ბაღის გამგე დალი დარახველიძე. — მოვიწვიეთ სტუმრები, ჩვენი გაზრდილები, მათ შორის სპორტის ოსტატი, ძიუდოისტი **თემურ მუხაევი**, რომელიც ორი წლის განმავლობაში ავარჯიშებდა ჩვენს ბავშვებს ძიუდოში. მართალია, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის პროგრამა არ ითვალისწინებს ძიუდოს სწავლებას, მაგრამ ვცდილობთ შემოქმედებითად მივუდგეთ ჩვენთვის გათვალისწინებულ პროგრამებს და მეთოდიკას. ასეთმა მიდგომამ დაგვარწმუნა, რომ ძიუდოს სწავლება ძალზე ეფექტური და შედეგიანია. ბავშვებიც მონდომებით სწავლობდნენ და მშობლებიც კმაყოფილი იყვნენ. ობიექტური მიზეზების გამო უკანასკნელ ხანს შევწყვიტეთ ეს გაკვეთილები, მაგრამ უახლოეს ხანში კვლავ ვაპირებთ აღვადგინოთ.

ბავშვთა გაჯანსაღების უპირველესი საშუალება დილის ტანვარჯიშია. რომელსაც ბაღის ყველა აღსაზრდელი ასრულებს. ვარჯიში ტარდება სისტემატურად, მუსიკის თანხლებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პატარების აღმზრდელი **ნაირა ფანცულაია** ყოფილი კალათბურთელია. იგი ბავშვებს ბურთის ტარებას და კალათში ტყორცნას ასწავლის.

შეიძლება ვინმემ იფიქროს ამ ბაღში ყველაფერი რიგზე ყოფილა, ალბათ არც სიძნელეები გააჩნიათ და რაკი ბევრს მიაღწიეს, არც მომავალზე ფიქრობენო.

— მაშინვე, როგორც კი ბაღი გავხსენით, დახურული საჭყუმპალაოს მონახაზი გავაკეთეთ, — განაგრძობს საუბარს დალი დარახველიძე, — გვაქვს პროექტი, მაგრამ არ იქნა და არ მოხერხდა მისი განხორციელება. ჩემი ოცნებაა, თუ შენობა ამის საშუალებას მოგვცემს, ზემოდან დავადგათ კიდევ ერთი სართული, რომელიც მთლიანად დახურულ სპორტულ კომპლექსს დაეთმობა. ამას გარდა, ალბათ მარტო ჩვენ არ განვიცდით ინვენტარისა და ფიზდანადგარების ნაკლებობას. ჩვენში არ არსებობს საწარმო, რომელიც სტანდარტულ იარაღებს დაამზადებდა. ის, რაც ჩვენ გვაქვს, დამზადებულია კუსტარულად და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თანაც მისი შეკვეთა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული — თითოეული დანადგარის დამზადებას, სულ ცოტა, ორი კვირა სჭირდება. წარმოიდგინეთ, რამდენ ხანს მოგვიწევს ლოდინი, ვიდრე ათეულობით იარაღს დაგვიმზადებენ.

კიდევ ერთ რამეს გაუსვა ხაზი ბაღის გამგემ: **ალბათ დროული და აუცილებელია, რომ თითოეული შეფი ორგანიზაციისათვის, რომელიც საბავშვო ბაღს აშენებს, სავალდებულო წესად გადაიქცეს დახურული საჭყუმპალაოს მოწყობა, რადგან ბაღისთვის პატარა აუზები ისევე საჭიროა, როგორც სასადილო და საძინებელი ოთახები.** საჭყუმპალაოს გარეშე აშენებული საბავშვო ბაღი ძალიან მალე დგება ბავშვთა გაკაჟების ამ შესანიშნავი საშუალების აუცილებლობის წინაშე. იწყება სირბილი საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მიზანი მიუღწეველი რჩება. ამ საკითხის მოუგვარებლობა მით უფრო შეუწყნარებელია დღეს, როცა ასე გავრცელდა სკოლიოზი სკოლამდელ ასაკში.

უფრო იოლია საბავშვო ბაღების უზრუნველყოფა ფიზაღზრდის მეთოდისტებით. მართალია, ყველა ბაღს ჰყავს მეთოდისტი, მაგრამ ისინი ბავშვის საერთო აღზრდას ადევნებენ თვალ-ყურს. არსებობს მეთოდიკა, პროგრამა, ბაღის გამგემ და აღმზრდელებმაც იციან, როგორ იმუშაონ, მაგრამ ისინი სპეციალისტები ხომ არ არიან? ბავშვთა ფიზიკურ მომზადებას კი პროფესიონალი ფიზკულტურის სპეციალისტი სჭირდება. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ფიზიკურად არაჯანსაღი მომავალი თაობა ვერაფერს შექმნის ფასეულს.

„ცისფერი დარბაზიდან“ პატარების ჟივილ-ხივილი ისმის, ვინ მიზანში ისვრის რგოლებს, ვინ კალათბურთის ფარს უტევს, ვინ „შვედურ კედელზე“ მიცოცავს, ვინ წონასწორობას იცავს. ბაღის მეთოდისტი **ციცინო ჭანტურიძე** თვალყურს ადევნებს ნორჩების მოძრავ თამაშობებს: „ვინ უფრო შორს გადაისვრის“, „გაძვერი სალტეში“, „მელია საქათმეში“, „იპოვე შენი სახლი“, „ბელურები და ავტომობილი“...

— ასეთი ზოგად-განმავითარებელი მოძრავი თამაშობები ბავშვებს აჩვევს წესრიგს, გამოუმუშავებს ყურადღებას, სიმტკიცეს, თავშეკავებულობას, — გვეუბნება ციცინო ჭანტურიძე. — გარდა ასეთი თამაშებისა, ჩვენმა ბავშვებმა იციან „ლახტი“. გვინდა სხვა ძველი ქართული თამაშობებიც შევასწავლოთ.

უდარდელი, ბედნიერი და ხალისიანი ხმები ავსებს ნათელ, ლამაზ დარბაზს, თამაშობენ პატარები, რომლებზედაც გამუდმებით ზრუნავენ ბაღის მთელი კოლექტივი და შეფი ორგანიზაცია— **ქარხანა „ელექტროშემდუღებელი“**. სწორედ ამ საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა შვილებს ემსახურება ეს საუცხოო საბავშვო დაწესებულება, რომლის „წინადადებათა წიგნში“ აღსაზრდელთა მშობლებს მადლიერებით სავსე უამრავი თბილი სიტყვა ჩაუწერიათ.

ნ. მირიანაშვილი.

• • •

სურათებზე: ვარჯიშობენ 36-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელები.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ახალი სეზონის წინ

კრასნოდარში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების, გუნდების უფროსებისა და მწვრთნელების საკავშირო თათბირ-სემინარი, რომელიც განიხილავს გუნდების მზადებას მომავალი სეზონისთვის, აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს და სხვ.

მოხსენებებით გამოვიდნენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ვასინი, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. სიმონიანი და სხვანი.

კიდევ ორი გამარჯვება

როგორც ანკარიდან საკდესის კორესპონდენტი იუწყება, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებმა, რომლებიც თურქეთში ტურნეს ატარებენ, კიდევ ორი გამარჯვება მოიპოვეს. ქალაქ დენიზლის ადგილობრივ გუნდს დინამოელებმა მოუგეს ანგარიშით 3:1. ბურთები სტუმართაგან გაიტანეს: სვანაძემ, ჩელებაძემ და კაკილაშვილმა.

მეორე მატჩში, რომელიც ქალაქ ბურდურში გაიმართა, თბილისელებმა დაამარცხეს საფეხბურთო კლუბი „ბურდუსპორი" — 5:2. ამჯერად მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს კაკილაშვილმა, გუცაევმა, ჟვანიამ, ჩელებაძემ და სვანაძემ.

გფრ

● გაიცანით ფინალისტები

გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრები 1954 წლიდან მოყოლებული, უცვლელად მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე. ამ ხნის განმავლობაში მას სულ 3 მწვრთნელი ჰყავდა. 1954 წელს ზეპ ჰერბერგერმა შვეიცარიაში ძალზე ძლიერი გუნდი გამოიყვანა, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. 1956 წლიდან ჰერბერგერს ასისტენტობას უწევდა ჰელმუტ შიონი. მომდევნო 2 ჩემპიონატს გფრ-ის ნაკრებისთვის კარგი არაფერი მოუტანია, იგი 1958 წელსაც უფერული იყო შვეციაში, თავი ვერც 1962 წელს გამოიჩინა ჩილეში. ამის შემდეგ ხანდაზმული ჰერბერგერი გადადგა და მმართველობის სადავეები შიონს გადაულოცა.

შიონმა ნაკრებში თავის მასწავლებელზე გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწია. გუნდი ჩინებული იყო 1966 წელს ინგლისში (II ადგილი) და 1970 წელს მექსიკაში (III ადგილი) და პირდაპირ დიდებული — 1974 წელს საკუთარ მინდვრებზე. ამის შემდეგ შიონს, რომელიც თავის შემცვლელად უკვე ამზადებდა იუპ დერვალს, უკვე აღარ უნდოდა გუნდში დარჩენა, მაგრამ ეროვნულმა ფედერაციამ იგი არ გაათავისუფლა და 1978 წელს არგენტინაში შიონმა სრული ფიასკო განიცადა.

ამრიგად, ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატი ი. დერვალისთვის ფაქტიურად დებიუტია, თუმცა პირველი ადგილი ევროპის ჩემპიონატზე მისთვის კარგი უვერტიურა იყო, სადაც ნაკრებმა დამაჯერებელი თამაში აჩვენა. არც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში გამარჯვება იყო დიდი პრობლემა, სადაც გფრ-ის ნაკრებმა რვავე შეხვედრა მოიგო.

დასავლეთგერმანელებმა შარშან 11 მატჩი გამართეს. 1 იანვარს მონტევიდეოს „მუნდიალიტოზე" გფრ-ის ნაკრები დამარცხდა მსოფლიო ჩემპიონებთან — არგენტინელებთან — 1:2. 7 იანვარს გუნდმა უკვე სასტიკად (1:4) წააგო ბრაზილიელებთან, რომლებსაც იგი, ეტყობა, „ორგანულად ვერ იტანს" ვერც სტუმრად, ვერც საკუთარ მინდორზე. როცა 19 მაისს ბრაზილიელები შტუტგარტს ეწვივნენ, მათ ისევ გაიმარჯვეს — 2:1.

სამაგიეროდ, ნაკრებმა შესარჩევი ტურნირი მოიგო და თანაც დიდი უპირატესობით: ავსტრიელებთან — 2:0 და 3:1, პოლონელებთან — 2:0, ბულგარელებთან — 4:0, ფინელებთან — 4:0 და 7:1, ალბანელებთან — 2:0 და 8:0.

ESPANA 82

გფრ-ის ნაკრების ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ ესპანეთში მხოლოდ პირველი ადგილისთვის იბრძოლებს, დერვალსაც ერთადერთ სერიოზულ მეტოქედ მხოლოდ ბრაზილია მიაჩნია. იგი უდავოდ მართალია, როცა ამბობს, რომ მისი ახლანდელი ნაკრების ნამდვილი ფასი გამოჩნდება მარტში სამხრეთ ამერიკაში ტურნეს შემდეგ, სადაც იგი ბრაზილიისა და არგენტინის კოლექტივებს შეხვდება.

ძირითად მეკარედ შუმახერი ითვლება („კიოლნი"). 28 წლის შუმახერმა ღირსეულად შეცვალა სახელგანთქმული მაიერი. იგი 186 სმ სიმაღლისაა, თითქმის უცვლელად თამაშობს ნაკრებში. ხანდახან გამოჩნდებიან ხოლმე მისი დუბლიორები — იმელი (დორტმუნდის „ბორუსია") და იუნგჰანსი (მიუნხენის „ბაიერნი").

მარჯვენა მცველად შეუცვლელად თამაშობს ფეხბურთის სამყაროში ფართოდ ცნობილი კალცი „ჰამბურგერ შპორტფერაინიდან" (დაიბ. 1953 წ., 184 სმ). მიმომხილველები წერენ, რომ ასეთი აგრესიული მცველის „დასაბმელად" საჭიროა უმაღლესი კლასის მარცხენა გარემარბი, თორემ კალცი აიკლებს მეტოქეებს.

დაცვის ცენტრში მწვრთნელი სხვადასხვა ვარიანტს მიმართავს. აქ მორიგეობით თამაშობენ ტყუპი ძმები ბერნდ და კარლ-ჰაინც ფიორსტერები („შტუტგარტი"), ამასთან, ძნელი სათქმელია, ვის მიენიჭება უპირატესობა. აქვე არიან შესანიშნავი ოსტატები შტილიკე (მადრიდის „რეალი"), ბონჰოფი („კიოლნი"). ბოლო ხანებში დერვალმა ყურადღება მიაქცია 25 წლის ჰანესს (მიონხენგლადბახის „ბორუსია"). დაცვის ცენტრში ზოგჯერ გამოდიოდა შუსტერიც („ბარსელონა"). დიდი დავაა ბეკენბაუერის („ჰამბურგერ შპორტფერაინი") თაობაზე. 1978 წელს მან არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი გამოტოვა, მის შემცვლელად ნაკრებში ხან ვის ასახელებდნენ და ხან ვის. ნიუ-იორკის „კოსმოსიდან" სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისევ დადგა ბეკენბაუერის ნაკრებში გამოსვლის პრობლემა, სადაც მას 103 მატჩი აქვს ჩატარებული. დერვალმა ორჯერ დანიშნა ნაკრებში ბეკენბაუერის დაბრუნების თარიღი, მაგრამ ვეტერანი ორჯერვე დაშავებული იყო. ახლა ბეკენბაუერს ტოლი არა ჰყავს სტოპერის პოსტზე. სექტემბერში იგი 37 წლისა ხდება და აცხადებს, რომ ესპანეთში ყველა შემთხვევაში წავა, თუ მოთამაშედ არა... ჟურნალისტად მაინც.

მარცხენა მცველის პოსტი მიანდეს ბრიგელს („კაიზერსლაუტერნი"), რომელიც უცვლელად თამაშობს ნაკრებში. იგი (1955 წ., 187 სმ) მეტად თავისებური ბედის ფეხბურთელია: 1973 წელს დებიუტი ჰქონდა ბუნდესლიგაში როგორც ცენტრალურ თავდამსხმელს, შემდეგ მარცხენა გარემარბი იყო, ხოლო 1977 წლიდან — მარცხენა მცველი, თანაც სტოპერადაც შეუძლია თამაში. ამას გარდა, გფრ-ის სპორტულ წრეებში ბრიგელი ცნობილია როგორც შესანიშნავი მძლეოსანი-ათჭიდელი და მოკრივე (საყურადღებოა, რომ ამხანაგურ მატჩში მას დამარცხებული ჰყავს ევროპის ყოფილი ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის, მუჰამედ ალის მეტოქე კარლ მილდენბერგერი).

ცალკეულ მატჩებში დაცვაში გამოდიან, აგრეთვე, დრემლერი (მიუნხენის „ბაიერნი") და ჰიერონიმუსი („ჰამბურგერ შპორტფერაინი").

დიდი არჩევანია შუა ხაზზე. აქ ახლა წამყვან ფიგურად ითვლება ბრაიტნერი (1951 წ., 176 სმ), რომელიც მიუნხენის „ბაიერნის" კაპიტანი გახლავთ. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაიტნერს მონაწილეობა არ მიუღია, ბოლო ორი სეზონის მანძილზე კი დიდი აღმავლობით თამაშობს. ნაკრების კაპიტნის რუმენიგეს დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ ბრაიტნერის საკითხი დადებითად გადაწყდა. ძნელი სათქმელია ვინ იქნებიან მისი პარტნიორები შუა ხაზზე, ვინაიდან ნახევარმცველთა სამეული ხშირად სხვადასხვანაირად გამოიყურება ხოლმე. გამორიცხული არაა ამ ხაზზე შტილიკეს ან შუსტერის გამოყვანა, ფართოდ არიან ცნობილი ისეთი ნახევარმცველები, როგორიც ჰ. მიულერი (1957, 180 სმ, თამაშობს „შტუტგარტში") და მაგათი (1953, 174 სმ, „ჰამბურგერ შპორტფერაინი"), მათეუსი (1961, 173 სმ, მიონხენგლადბახის „ბორუსია"). ცალკეულ მატჩებში გამოდის გამოცდილი ბორხერსიც მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტიდან" (1957, 182 სმ).

შეიძლება ლაპარაკი 6 თავდამსხმელზე, რომლებიც ესპანეთში უნდა გაემგზავრონ. რუმენიგეზე (1955, 182 სმ, „ბაიერნი") სიტყვას არ გავაგრძელებთ, მისი მაღალი კლასი ყველასთვის ცნობილია. მწვრთნელმა არჩევანი უნდა გააკეთოს ორ ცენტრფორვარდს შორის. ფიშერი (1949, 178 სმ, „კიოლნი") ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ ნაკრებისთვის დაკარგულად მიაჩნდათ, მაგრამ ეს აზრი არ გამართლდა, ჰრუბეში (1951, 188 სმ), „ჰამბურგერ შპორტფერაინი") „ტანკის" ტიპის, დიდი ფიზიკური ძალის, შედეგიანი თავდამსხმელია. შარშან მწვრთნელი უპირატესობას ფიშერს ანიჭებდა, მაგრამ ბულგარელებთან მან მინდორზე ერთდროულად ფიშერიც გამოიყვანა და ჰრუბეშიც. კ. ალოფსი (1956, 174 სმ, „კიოლნი") კარგად თამაშობდა ევროპის პირველობაზე. უნდა აღინიშნოს პრესის მხრივ დიდად რეკლამირებული ლიტბარსკიც (1960, 168 სმ). შარშან დაიწყო ნაკრებში თამაში „შტუტგარტის" თავდამსხმელმა ალჰაუერმაც (1957, 181 სმ), რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შუა ხაზზეც შეუძლია მოქმედება. შარშანვე ჰქონდა დებიუტი მილევსკის, მაგრამ ეს, შესაძლოა, ეპიზოდად დარჩეს.

ასეთია დერვალის გუნდის ვარსკვლავებისა და კანდიდატთა წრე.

ბ. გამრეკელი.

* * *

სურათზე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი კ.-ჰ. რუმენიგე (თეთრ მაისურში) თამაშის დროს.

● ●

ემზადებიან...

ახალ ზელანდიაში ტურნეს განაგრძობს უნგრეთის ფეხბურთელთა ნაკრები. ისინი ქ. კრაისტჩერჩში შეხვდნენ ახალი ზელანდიის ნაკრებს. სტუმრებმა პირველი ტაიმი წააგეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს — 2:1.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილე პერუს ფეხბურთელთა ნაკრებმა ლიმაში მიიღო ბრაზილიის „პალმეირასი" და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1 (2:0). მატჩი შეწყდა ბრაზილიელ ფეხბურთელთა არასპორტული საქციელის გამო: 87-ე წუთზე „პალმეირასის" კარში დაინიშნა პენალტი. ბრაზილიელი ფეხბურთელები არ დაეთანხმნენ მსაჯს და მატჩის დამთავრებამდე დემონსტრაციულად დატოვეს მინდორი.

მოკლედ

ვენესუელის ქალაქ მერიდაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. ფინალში ვენესუელის „უნივერსიდად დე ლოს ანდესმა" დაამარცხა ჰონდურასის ნაკრები — 2:1 და დაიკავა პირველი ადგილი.

სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა გამართა 2 შეხვედრა, წააგო „უნივერსიდად დე ლოს ანდესთან" — 1:2 და მოუგო კოლუმბიის „ინდეპენდიენტე დე სანტაფეს" — 2:0.

ზემოხსენებულთა გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ რუმინეთის ნაკრები და ადგილობრივი „ესტუდიანტესი".

თურქეთის ქალაქ ადანაში მეორე გამარჯვება მოიპოვა ამ ქვეყანაში სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელმაც ანგარიშით 2:0 დაამარცხა თურქეთის ახალგაზრდული გუნდი. გოლები მეორე ტაიმში გაიტანეს დუმბაძემ და როდიონოვმა.

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

● ჩოგბურთი

მომავლის რწმენით

უკანასკნელი წლების აღიარებულმა ლიდერმა ჩოგბურთში, შვედმა ბიორნ ბორგმა ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში სპორტის ამ სახეობას ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლის სახით საუკეთესო ჩოგბურთელი შეემატება. როგორც ვხედავთ, ბორგის წინასწარმეტყველება მართლდება. გასული წლის მიღწევების საფუძველზე 20 წლის ივან ლენდლი მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად აღიარეს. სულ ახლახანს მან გაიმარჯვა ნიუ-იორკის ტურნირზე, რომელიც სპორტულ სამყაროში „ჩემპიონთა ტურნირად" არის ცნობილი.

სპეციალისტთა და სპორტის ამ სახეობის თაყვანისმცემელთა უმრავლესობას ძალზე აინტერესებს თუ რამ განაპირობა ლენდლის ესოდენ დიდი წარმატება უძლიერეს კონკურენტებთან ჭიდილში.

„ბევრს მიაჩნია, რომ სპორტსმენის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, მის ტალანტზეა დამოკიდებული. მე მათ ვეთანხმები, მაგრამ მიმაჩნია, რომ თავი და თავი მაინც შრომისმოყვარეობაა, ურომლისოდაც რაიმე წარმატებებზე ფიქრიც ზედმეტია. სპორტსმენის შეფასებისას ორივე გარემოება უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. ჩოგანი პირველად გართობის მიზნით ხუთი წლისამ ავიღე ხელში. 14 წლის ასაკიდან უკვე სერიოზულად მოვკიდე ხელი ვარჯიშს და დღეში ხანდახან 5-6 საათს ვვარჯიშობდი, მოგვიანებით კი 9-10 საათს. შედეგმაც არ დააყოვნა — პირველსავე საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი იუნიორთა შორის, მაგრამ დღეს, როდესაც მიზნად დავისახე გავუსწრო თვით ბორგს, დილიდან საღამომდე კორტზე ვარ — ჩოგბურთი მთელი ჩემი ცხოვრება გახდა. ყველაფერ დანარჩენს ვარჯიშისა და მატჩებს შორის შესვენების დროს ვაკეთებ".

1977 წლიდან მოყოლებული, ჩეხოსლოვაკიის პირველი ჩოგნის სახელი სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა პრესის ფურცლებზე, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ლენდლმა ხუთი პარტიისაგან შემდგარ მატჩში დაამარცხა ზემოხსენებული „რკინის" შვედი. „ტენის მეგაზინის" კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რატომ მაინცდამაინც ამ შეხვედრამ განსაზღვრა მისი შემდგომი აღმავლობა, ლენდლმა უპასუხა: „ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში. მანამდე იგი არავის არ დაუმარცხებია. ბორგის დამარცხება ხომ ყოველი ჩოგბურთელის დიდი ოცნებაა. რაც შეეხება მაკინროის, მსგავსად ბორგისა, იგი უკვე აღარ წარმოადგენს გადაულახავ ზღუდეს. გასულ წლამდე მე კმაყოფილი ვიყავი, რომ შემეძლო მათთვის კონკურენცია გამეწია, დღეს კი ვგრძნობ, რომ უახლოეს მომავალში ორივეს ჩამოვიტოვებ".

„ლენდლის ყოველგვარი პირობა გააჩნია იმისათვის, რომ მიაღწიოს სრულ წარმატებას. მას აქვს ტალანტი და ახასიათებს შეუპოვრობა, რაც დიდად დაეხმარება ჩოგბურთის ოლიმპის დაპყრობაში" — განაცხადა ბორგმა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს აპრილამდე არც ერთ ტურნირში არ მიიღოს მონაწილეობა.

მ. რადიანი.

• • •

სურათზე: ი. ლენდლი.

● ჭადრაკი

სამი საზონათშორისო

ფიდე-ს გადაწყვეტილებით, ვაჟთა მსოფლიო პირველობის გათამაშების 1981-1984 წლების ციკლში ჩემპიონობის პრეტენდენტთათვის სამი საზონათშორისო ტურნირი ჩატარდება. თითოეული ტურნირიდან პრეტენდენტთა მატჩების საგზურს მხოლოდ პირველ ორ ადგილზე გამოსული მოჭადრაკე მიიღებს.

უკვე ცნობილია ამ ტურნირების მასპინძლები და დაწყების დრო. პირველი ტურნირი გაიმართება ქალაქ მეხიკო-სიტიში (მექსიკა) 28 ივლისიდან, მეორე — ლას-პალმასში (ესპანეთი) 15 აგვისტოდან, მესამეს კი 6 სექტემბრიდან მოსკოვი უმასპინძლებს.

ამ ტურნირებში სსრ კავშირიდან მონაწილეობის პერსონალური უფლება აქვთ მსოფლიო ექს-ჩემპიონებს ტ. პეტროსიანს, ბ. სპასკის, ვ. სმისლოვს, მ. ტალს, დიდოსტატებს ა. ბელიავსკის, ი. ბალაშოვს, გ. კასპაროვს და ლ. პოლუგაევსკის. მათ შეუერთდება კიდევ ოთხი საბჭოთა მოჭადრაკე, რომლებიც გაიმარჯვებენ ერევნის საბჭოთა ზონალურ ტურნირში.

◆

საბჭოთა ზონალური ტურნირი

ერევანი, 16 თებერვალი (ტელეფონით, „ლელოს“ კორ.). გუშინ ჭადრაკის სახლში საზეიმოდ გაიხსნა ვაჟთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი. მსგავსი შეჯიბრება მეთორმეტედ იმართება სსრ კავშირში. შვიდი მათგანი ერთდროულად საკავშირო ჩემპიონატიც იყო, მაგრამ ბოლო დროს ზონალური ტურნირები ცალკე ტარდება.

მთავარი მსაჯის, საერთაშორისო ოსტატის და არბიტრის ვ. მიკენასის (ვილნიუსი) მიერ ჩატარებული წილისყრის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: 1. დიდოსტატი იგორ ზაიცევი (მოსკოვის ოლქი), 2. დიდოსტატი არტურ იუსუპოვი (მოსკოვი), 3. დიდოსტატი ოლეგ რომანიშინი (ლვოვი), 4. დიდოსტატი ვიტალი ცეშკოვსკი (კრასნოდარი), 5. დიდოსტატი ეფიმ გელერი (მოსკოვის ოლქი), 6. საერთაშორისო ოსტატი სერგეი დოლმატოვი (მოსკოვი), 7. ოსტატი ვიქტორ გავრიკოვი (ვილნიუსი), 8. დიდოსტატი ევგენი სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), 9. ოსტატი გიორგი აგზამოვი (ტაშკენტი), 10. დიდოსტატი რაფაელ ვაჰანიანი (ერევანი), 11. დიდოსტატი იოსებ დორფმანი (ლვოვი), 12. დიდოსტატი გენადი კუზმინი (ვოროშილოვგრადი), 13. დიდოსტატი თამაზ გიორგაძე, 14. დიდოსტატი ვიქტორ კუპრეიჩიკი (მინსკი), 15. დიდოსტატი ლევ ფსახისი (კრასნოიარსკი), 16. დიდოსტატი ვლადიმერ ტუკმაკოვი (ოდესა).

◆

როცა თამაში განახლდა

მარ-დელ-პლატას (არგენტინა) საერთაშორისო ტურნირში 6 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო.

ა. კარპოვმა, რომელსაც ორი გადადებული პარტია ჰქონდა, მხოლოდ ნახევარი ქულა შეიძინა. იგი დანებდა ი. ტიმანს (ჰოლანდია) და დაუზავდა ო. პანოს (არგენტინა).

ლ. პოლუგაევსკიმ მოუგო კ. პალერმოს და ყაიმზე შეუთანხმდა მ. კინტეროსსა და ს. ჭიარდელის (სამივე — არგენტინა). უ. ანდერსონმა (შვეცია) დაამარცხა პალერმო.

6 ტურის შემდეგ ლ. პორტიშს (უნგრეთი) 5,5 ქულა აქვს, ი. ტიმანს — 4,5, ლ. პოლუგაევსკის, უ. ანდერსონს, მ. ნაიდორფს (არგენტინა) — 3,5-3,5, ი. სეირავანს (აშშ) — 3 (1).

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ.

◆

ზ. სტურუა და მისი „ოპონენტები“

ოდესა, 16 თებერვალი (ტელეფონით, „ლელოს“ კორ.). სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა XV ჩემპიონატში გუშინ ბოლოსწინა, XIV ტურის შეხვედრები გაიმართა.

საერთო ყურადღებას იქცევდა ლიდერთა შეხვედრები. ზ. სტურუამ ბრწყინვალედ წარმართა პარტია გ. კაიდანოვთან (მოსკოვი) და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. მისი ორი „ოპონენტი“ ა. ერმოლინსკი (ლენინგრადი) და ს. ლპუტიანი (ერევანი) ყაიმს დასჯერდნენ. პირველი დაუზავდა თანაქალაქელ ლ. იუდასინს, მეორე — ოდესელ ვ. ეინგორნს. კიდევ ორმა „ოპონენტმა“ რ. კენგისმა (რიგა) და ა. ჩერნინმა (ხარკოვი) პარტიები გადადეს. რიგელმა ოსტატმა ე. პიგუსოვთან, ხარკოველმა კი ზ. აზმაიფარაშვილთან. ამ პარტიაში ქართველმა ოსტატმა ჩინებულად ითამაშა და შეწყვეტილ პოზიციაში მისი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს.

მ. ჩიბურდანიძემ დაამარცხა ვ. მალანიუკი (სიმფეროპოლი). ყაიმზე შეთანხმდნენ ს. დვოირისი (ჩელიაბინსკი) — ს. გორელოვი (მოსკოვი) და ა. ხარიტონოვი (ივანოვო) — ი. ვიქმანავინი (მოსკოვი).

14 ტურის შემდეგ ზ. სტურუას 9 ქულა აქვს, ა. ერმოლინსკის —8,5, ს. ლპუტიანს—8 (1), ა. ჩერნინს, ე. კენგისს — 7,5-7,5 (1-1), ს. დვოირისს — 7(1), ა. ხარიტონოვს — 7.

ტიტე კიკნაველიძე

30-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობასთან განუყოფლადაა დაკავშირებული ტიტე (ქორა) კიკნაველიძის სახელი ახალგაზრდობიდან უკანასკნელ დღემდე მთელი შეგნებული ცხოვრება, ნიჭი და შესაძლებლობა მან ერთგულად მოახმარა არჩეულ პროფესიას.

ტ. კიკნაველიძემ შრომითი საქმიანობა კომკავშირით დაიწყო. უყვარდა ფიზკულტურა და სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი. თვითონაც წლების განმავლობაში მონაწილეობდა რესპუბლიკურ ჩემპიონატებში, მერე მსაჯობას მოჰკიდა ხელი — იყო რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი. ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჯერ მშთ კომპლექსის ინსპექტორად, მერე სპორტულ გაზეთ „ფიზკულტურელის“ განყოფილების გამგედ. შემდეგაც, სიცოცხლის ბოლომდე კავშირს არ წყვეტდა პრესასთან — განსაკუთრებით აქტიურად თანამშრომლობდა „ლელოში“.

ტ. კიკნაველიძე იყო ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი, ბორჯომის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, და ამავე რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, სხვადასხვა დროს — საქართველოს სპორტკომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარე, სპორტსაზოგადოებების „ისკრას“, „სპარტაკის“, „კოლმეურნეს“, „განთიადის“ საბჭოების საორგანიზაციო მუშაობის განყოფილების გამგე, ამავე საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე...

პერსონალურ პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა „განთიადს“, სადაც გარდაცვალებამდე საორგანიზაციო განყოფილების გამგედ მუშაობდა. არჩეული იყო პროფკავშირულ სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პლენუმის წევრად. დიდი სამამულო ომის წლებში დაჯილდოვდა მედლებით.

ყველა უბანზე ტ. კიკნაველიძე გამოირჩეოდა როგორც საქმიანი მუშაკი და კარგი ორგანიზატორი. 67-ე წელში გადამდგარი, ჩვეული ენერგიით უძღვებოდა საყვარელ საქმეს, კვლავ ძიებაში იყო. მის ირგვლივ მუდამ ტრიალებდნენ ახალგაზრდა სპეციალისტები, რომელთა ავტორიტეტული მრჩეველი და დამრიგებელი თავად გახლდათ. ყველა პატივს სცემდა, რადგან მასში ჩინებულად იყო შერწყმული ხელმძღვანელის ავტორიტეტი და კეთილი ადამიანის თვისებები. უკურნებელმა სენმა ტ. კიკნაველიძე სულ რაღაც სამი დღით მოსწყვიტა ყოველდღიურ საფიქრალ-საზრუნავს. ვაგლახ, რომ ამჯერად, სამუდამოდ.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი ადამიანი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა რესპუბლიკის ფიზკულტურულ მოძრაობაში. ამიტომაც ვამბობთ დღეს: ტიტე კიკნაველიძის სახელი სამუდამოდ დარჩება მის მეგობრებს, ამხანაგებსა და კოლეგებს შორის.

საქართველოს სპორტკომიტეტი, ნსს „განთიადის“ ცენტრალური საბჭო, სპორტის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია.

● რესპუბლიკის ახალგაზრდული თამაშები ● მხატვრული ტანვარჯიში

მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი

თბილისში, სპორტკომპლექს „ბურევესტნიკში“ სამ დღეს მიმდინარეობდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშები საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. აღნიშნული შეჯიბრება გახლდათ საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისათვის მზადებისა და რეზერვების შემოწმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, რუსთავის, აგრეთვე თბილისის პირველი და მეორე ნაკრები კოლექტივები.

გუნდურ პირველობაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე დაწინაურდა თბილისის პირველი და მეორე ნაკრები და I-II ადგილებიც მათ დაიკავეს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რუსთავის გუნდის უდავო წარმატება. ასეთი რანგის შეჯიბრებაში მოპოვებული III საპრიზო ადგილი მეტალურგიული ქალაქის სპორტსმენების დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს.

პირად ტურნირში ოსტატობის პროგრამით მოასპარეზეთა შორის უძლიერესნი იყვნენ თბილისელები ი. წიკლაური, ლ. ფედიუშინა, მ. გოგოლაშვილი და ვ. დარბაიძე (რუსთავი), ხოლო იუნიორთა შორის — ი. ყიფშიძე, ფ. ფანქველაშვილი და მ. ტუხაშვილი (რუსთავი). ცალკე აღნიშვნის ღირსნი არიან ნ. გრიშაშვილი (იგი მეხუთე იყო ოსტატობის პროგრამით მოასპარეზეთა შორის) და ფ. ფანქველაშვილი (ორივე — თბილისი), რომელთაც სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს.

და ბოლოს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ (უკვე მერამდენედ) არადამაკმაყოფილებელ მსაჯობას, რამაც ჩრდილი მიაყენა კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებას, მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: ერთ-ერთი სპორტსმენის ვარჯიში (მის გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ) შეფასდა შემდეგი ქულებით — 9,3; 9,3; 9,1 და... 8,3! ამგვარი და სხვა სახის ლაფსუსები ერთეული როდი იყო.

თუ გვინდა, რომ საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის კარგად მოვემზადოთ და ქარს არ გავატანოთ მწვრთნელთა და სპორტსმენთა ნაჯაფი, რესპუბლიკის ნაკრების პოტენციური კანდიდატების ნებისმიერი გამოსვლა მომდევნო ასპარეზობებში უნდა შეფასდეს განსაკუთრებული ობიექტურობით, რაც დიდ დახმარებას გაუწევს ნაკრების ხელმძღვანელობას ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა თვით ნაკრების დაკომპლექტება.

მ. ზაქარეიშვილი.

ტექნიკური შედეგები. გუნდური. თბილისი I — 258,35 ქულა, თბილისი II — 241,25, რუსთავი — 223,75; **პირადი. ოსტატობის პროგრამით.** მრავალჭიდი. წიკლაური (თბილისი-I) — 55,1, ფედიუშინა (თბილისი-I) — 54,8, გოგოლაშვილი (თბილისი-II)და დარბაიძე (რუსთავი) — 54,4; **იუნიორები.** ყიფშიძე (თბილისი-I) — 34,05, ფანქველაშვილი (თბილისი-II) — 33,45, ტუხაშვილი (რუსთავი) — 31,5.

ხტუნელათი — გოგოლაშვილი, დარბაიძე, გრიშაშვილი (თბილისი-II); **უსაგნოდ** — ფედიუშინა, წიკლაური, დარბაიძე; **რგოლით** — წიკლაური, ფედიუშინა, გოგოლაშვილი; **გურზებით** — დარბაიძე, გრიშაშვილი, გოგოლაშვილი; **ზონრით** — წიკლაური, გრიშაშვილი, ფედიუშინა; **ბურთით** — ფედიუშინა, დარბაიძე, გოგოლაშვილი.

* * *

სურათებზე: მარცხნიდან — ი. წიკლაური, ლ. ფედიუშინა, მ. გოგოლაშვილი და ვ. დარბაიძე.

ავტორისა და ჯ. კახაძის ფოტოები.

ი. გერასიმოვას „ბრინჯაო“

მოსკოვის ოლიმპიურ აუზში დამთავრდა მოცურავეთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც უცხოელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

როგორც ვიუწყებოდით, ამ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა განთიადელმა ი. გერასიმოვამ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში VI ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ გერასიმოვამ 200 მეტრზე სცადა ძალა და IV ადგილზე გავიდა — 2.06,06.

ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს **გერასიმოვამ 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა — 2.21,98.**

● კალათბურთი

მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი. ადგილობრივმა „დინამომ“ დიდი ანგარიშით 128:97 (64:45) დაამარცხა ვილნიუსის „სტატიბა“.

გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო ფესენკო (24 ქულა), დამარცხებულთაგან — კაზლაუსკასი (21).

რედაქტორი ა. ბასილაია.

26 თებერვალს

პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში (ა. წერეთლის პროსპექტი, 95-ა) გაიმართება ნსს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს **რესპუბლიკური კონფერენცია.**

დასაწყისი 12 სთ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 09075